დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20

2012 წლის 25 მაისი

ქ. დმანისი

,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 აგვისტოს №14-36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

შეტანილი იქნეს ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 აგვისტოს №14-36 დადგენილების (სსმ, 31.08.2011, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი:010250030.35.156.016066) ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ'' დანართ №1-ში შემდეგი სახით:

მუხლი1.

1. მე-2 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2. საკრებულოს წევრებისათვის საკრებულოს სხდომებსა, მის ორგანოთა მუშაობასა და სხვა უფლებამოსილების განხორციელებაში მონაწილეობის მიღებისათვის ხარჯის ანაზღაურება.''.

2. მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საკრებულოს თითოეული წევრისთვის ამ დადგენილების პირველ მუხლში მითითებული ასანაზღაურებელი ხარჯის ოდენობა, რომელიც დაკავშირებულია საკრებულოს სხდომებსა, მის ორგანოთა მუშაობასა და სხვა უფლებამოსილების განხორციელებაში მონაწილეობის მიღებასთან, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებისა, განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ ერთიანი სახით მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.''.

2. დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2

საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობა

№	საკრებულოს წევრი	ანაზღაურების ოდენობა (ლარი) საკრებულოს სხდომებსა, მის ორგანოთა მუშაობასა და სხვა უფლებამოსილების განხორცილებისათვის	ანაზღაურების ზღვრული ოდენობა (ლარი) ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის; საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისთვის
1	საკრებულოს თავმჯდომარე	320	250
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	320	200
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	320	150
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	320	150
6	საკრებულოს სხვა წევრი	320	100

შენიშვნა:

ამ მუხლში მითითებული ანაზღაურების ოდენობა (ზღვრული ოდენობა) გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადით დარიცხულ ოდენობასთან ერთად.”.

მუხლი 2.

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის 1 ივნისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ბ. მგელაძე